

3.17 თფფ უფლებამოსილია ნებისმიერ დროს სკოლასთან (კლუბთან) შეთანხმების შემდეგ შეამოწმოს გუნდში მიმდინარე სასწავლო-საწვრთნელი პროცესი, სათანადო დოკუმენტაცია;

3.18 სათანადარიგო მოთამაშეთა მოთელვა უნდა ხდებოდეს მთავარი მსაჯის მიერ მითითებულ ადგილზე;

3.19 გუნდებს შეუძლიათ, მოითხოვონ თამაშის გადატანა იმ შემთხვევაში, თუ საქართველოს ჭაბუკთა ნაკრებში გამოცახებულია მათი 5 ან მეტი ფეხბურთელი;

3.20 მატჩის დაწყების დროს განსაზღვრავს თფფ.

3.21 თამაშის დაწყების დროის გადატანა შეიძლება კლუბებს შორის შეთანხმებით და ჩამტარებელი ფედერაციების დასტურის შემდეგ.

4. გუნდების განაცხადების გაფორმება

4.1 გუნდებმა განაცხადები თფფ-ში, უნდა წარმოადგინონ არაუგვიანეს 2017 წლის 1 აპრილისა.

4.2 გუნდის განაცხადი მოწმდება სკოლის დირექტორის (პრეზიდენტის) ხელმოწერით და სამედიცინო დაწესებულების შესაბამისი ბეჭდით; ასევე ბავშვთა ჩემპიონატებში გუნდები რომლებიც ითამაშებენ აფფ-ში და სოფფ-ში ვალდებულები იქნებიან განაცხადზე მოითხოვონ თფფ-ს თანხმობის ბეჭედი.

4.3 გუნდის განაცხადი დგება 3 ეგზემპლარად. განაცხადთან ერთად უნდა წარმოადგინონ საფეხბურთო სკოლის წესდების და რეგისტრაციის ასლები. ფეხბურთელის დაბადების მოწმობის ასლი და პირადობის დამადასტურებელი დოკუმენტი (პასპორტი ან პირადობის მოწმობა ან ფორმა №1). მოთამაშის განაცხადში შეყვანისას აუცილებლად უნდა მიეთითოს მისი გვარი, სახელი და მამის სახელი;

4.4 გუნდიდან გუნდში მოთამაშის გადასვლა ნებადართულია პირველი წრის ან სეზონის დასრულების შემდეგ. განაცხადში ფეხბურთელის რაოდენობა არ უნდა აღემატებოდეს 30-ს.

4.5 ჩემპიონატის საწევრო თანხა. ელიტარული ლიგის გათამაშებებში განისაზღვროს შემდეგნაირად:

- 2001 წ. დაბადებულ ჭაბუკებში --- 1500 ლარი
- 2002 წ. დაბადებულ ჭაბუკებში --- 1500 ლარი
- 2003 წ. დაბადებულ ჭაბუკებში --- 1500 ლარი
- 2004 წ. დაბადებულ ჭაბუკებში --- 1500 ლარი
- 2005 წ. დაბადებულ ჭაბუკებში --- 800 ლარი
- 2006 წ. დაბადებულ ჭაბუკებში --- 800 ლარი
- 2007 წ. დაბადებულ ჭაბუკებში --- 800 ლარი

თუ ტურნირებში მონაწილე გუნდები რაიმე მიზეზით მოიხსნებიან გათამაშებიდან, საწევრო თანხა გუნდებს არ დაუბრუნდებათ.